ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 26

2025 წლის 9 ოქტომბერი

ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**,

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს № 18 დადგენილებაში (ვებგვერდი matsne.gov.ge, 27/08/2024; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.138.016547) და აღნიშნული დადგენილების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ"

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**. დამტკიცდეს ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტები და ტარიფი დანართის მიხედვით".

3. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე უფასოდ მგზავრობის უფლება მიეცეთ შემდეგ პირთა კატეგორიებს:".

4. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ავტობუსით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი ტარიფით – 50% - იანი ფასდაკლებით მგზავრობის უფლება მიეცეთ შემდეგ პირთა კატეგორიებს:".

5. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეული სუბიექტი (შემდგომში: „მომსახურების გამწევი სუბიექტი").

6. პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ავტობუსით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტები და ტარიფი."

7. პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის სახით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**

დანართი

ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ავტობუსით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტები და ტარიფი

მარშუტის N	მოძრაობის სვლა-გეზი	უკუსვლა	ტარიფი სტანდარტული
მარშრუტი N1	ქ. ახალციხე თამარაშვილის ქუჩა - რუსთაველის ქუჩა (N125)	ქ. ახალციხე რუსთაველის ქუჩა (N125) - თამარაშვილის ქუჩა	0.50
მარშრუტი N2	ქ. ახალციხე საბარგო სადგური - ზარზმელის ქუჩა	ქ. ახალციხე ზარზმელის ქუჩა - საბარგო სადგური	0.50
მარშრუტი N3	ქ. ახალციხე ყაზბეგის ქუჩა - საავადმყოფო რუსთაველის ქუჩა (N105ა)	ქ. ახალციხე საავადმყოფო რუსთაველის ქუჩა (N105ა) - ყაზბეგის ქუჩა	0.50
მარშრუტი N4	სოფ. მინაძე - ქ. ახალციხე - სოფ. ღრელი	სოფ. ღრელი - ქ. ახალციხე - სოფ. მინაძე	0.50
მარშრუტი N5	ქ. ახალციხე - ქ. ვალე	ქ. ვალე - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N6	ქ. ახალციხე - სოფ. აწყური	სოფ. აწყური - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N7	ქ. ახალციხე - სოფ. თისელი	სოფ. თისელი - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N8	ქ. ახალციხე - სოფ. გურკელი	სოფ. გურკელი - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N9	ქ. ახალციხე - სოფ. კლდე	სოფ. კლდე - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N10	ქ. ახალციხე - სოფ. წყალთბილა	სოფ. წყალთბილა - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N11	ქ. ახალციხე - სოფ. დიდი პამაჯი	სოფ. დიდი პამაჯი - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N12	ქ. ახალციხე - სოფ. წირა	სოფ. წირა - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N13	ქ. ახალციხე - სოფ. ანი	სოფ. ანი - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N14	ქ. ახალციხე - სოფ. ჭვინთა	სოფ. ჭვინთა - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N15	ქ. ახალციხე - სოფ. ბოგა	სოფ. ბოგა - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N16	ქ. ახალციხე - სოფ. ურაველი	სოფ. ურაველი - ქ. ახალციხე	1.00

მარშრუტი N17	ქ. ახალციხე - სოფ. მუსხი	სოფ. მუსხი - ქ. ახალციხე	1.00
მარშრუტი N18	ქ. ახალციხე - სოფ. ფერსა - ვალე II შახტა	ვალე II შახტა - ქ. ახალციხე - სოფ. ფერსა	1.00
მარშრუტი N19	ქ. ახალციხე მერაბ კოსტავას ქ (N191) - ბექა ჯაყელის I ჩიხი (კლინიკა იმედი)	ქ. ახალციხე ბექა ჯაყელის I ჩიხი (კლინიკა იმედი) - მერაბ კოსტავას ქ (N191)	0.50
მარშრუტი N20	ქ. ახალციხე გორის ქუჩა (N39) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა (გალაქტიონ ტაბიძის II ჩიხის კვეთა)	ქ. ახალციხე გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა (გალაქტიონ ტაბიძის II ჩიხის კვეთა) - გორის ქუჩა (N39)	0.50